ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2922306001**
თარიღი:**02/11/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით - უსასყიდლოდ გადაცემის 2022 – 2023 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე- 16 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების, მე-19 მუხლის ,,ბ,, პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით - უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2022 – 2023 წლების პროგრამა თანდართული სახით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით-უსასყიდლოდ გადაცემის 2022–2023 წლების პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2022 – 2023 წლების პროგრამა.

2. პროგრამის მოქმედების პერიოდი: 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. საშეშე მერქნის გაცემის დრო: საშეშე მერქანი გაიცემა 2022 – 2023 წლის განმავლობაში.

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტისმერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ხელშეწყობა ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, ასევე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ, მარტოხელა პენსიონერთა, მრავალშვილიანთა, მძიმე ავადმყოფთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ან დასახიჩრებულ მეომართა ოჯახებს, სტიქიურიმოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

მუხლი 4. საშეშე მერქნის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რასაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ამ პროგრამის მესამე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გ) შესაბამის ადმინისტრაციულში ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია. რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ- ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საშეშე მერქნის გაცემის წესი და ოდენობა:

1. პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს პირადი განცხადების საფუძველზე უსასყიდლოდგადაეცემათ საშეშე მერქანი 2.5 – 3 კბ.მ. ოდენობით - სეზონის განმავლობაში ერთჯერადად, რომლის ადგილზე ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. სამუშაო ჯგუფი შედგება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისგან, ასევე სურვილის შემთხვევაში საკრებულოს წევრებისაგან მათივე თანხმობით.

4. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი ამზადებს მერის ბრძანების პროექტს და მისი გამოცემის შემდგომ უზრუნველყოფს განმცხადებლისათვის საშეშე მერქნის გადაცემას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი

self governing unit terjola municipality

Digitally signed by self governing unit terjola municipality
Date: 2022.11.02 10:46:14 +04'00'